

სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის



სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	8
3. ფუნქციონირებადი საწარმო	8
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	9
4. ძირითადი საშუალებები	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	11
5. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	12
7. ფული და ფულის ექვივალენტები	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	13
8. მარაგები	13
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	14
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)	15
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)	16
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)	17
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)	18
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)	19
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)	20



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
	შენიშვნა		
ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან		123,659	137,736
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10,606)	(3,756)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(235,827)	(235,460)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(72,466)	(95,731)
სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(150,098)	(173,475)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(345,339)	(370,686)
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)		(52,716)	(13,932)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(5,043)	(9)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(403,098)	(384,626)
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(403,098)	(384,626)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 25 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

სს „მეტრო ტერმინალი“-ს

დირექტორი:

ნინო ირემაძე

ნ. ირემაძე

სს „მეტრო ტერმინალი“-ს

დირექტორი:

ქუმსალ სარი

ქუმსალ სარი



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	ზენიზა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,720,147	11,086,228
		12,720,147	11,086,228
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		279,754	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	202,071	75,240
მარაგები	8	68	11,548
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	24,193	1,429
		506,087	88,217
სულ აქტივები		13,226,234	11,174,446
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,210,000	12,190,000
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(1,388,086)	(1,003,460)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		(403,098)	(384,626)
		10,418,816	10,801,914
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		-	7,856
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	10	818,817	265,048
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,988,601	99,627
		2,807,418	372,532
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,226,234	11,174,446

ნ. იხუტაძე



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	12,190,000.00	(948,684.48)	11,241,315.52
კაპიტალის წმინდა ზრდა/(შემცირება)	-	-	-
წინა წლის კორექტირება	-	(54,775.26)	(54,775.26)
მთლიანი სრული ზარალი	-	(384,626.49)	(384,626.49)
2020 წლის 31 დეკემბერი	12,190,000.00	(1,388,086.23)	10,801,913.77
2021 წლის 1 იანვარი	12,190,000.00	(1,388,086.23)	10,801,913.77
კაპიტალის წმინდა ზრდა/(შემცირება)	20,000.00	-	20,000.00
მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	(403,098.17)	(403,098.17)
2021 წლის 31 დეკემბერი	12,210,000.00	(1,791,184.40)	10,418,815.60

ნი. ი. ხუციშვილი



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	31.12.2021	31.12.20
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება	(403,098)	(384,626)
კორექტირებები:		
ცვთა და ამორტიზაცია	235,827	235,460
საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი/მოგება	-	-
ფინანსური შემოსავალი	57,760	13,941
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:	(109,511)	(135,226)
ცვლილება მარაგებში	11,479	(550)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(126,831)	122,213
ცვლილება საგადასახადო აქტივში	(273,482)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	545,913	60,277
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული ფულადი სახსრები	47,568	46,714
მიღებული პროცენტები	-	-
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	47,568	46,714
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/გაყიდვა	(525,857)	(313)
სესხის გაცემა/მიღება	-	-
გიღებული სესხების დაფარვა	-	(119,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(525,857)	(119,313)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
სესხის მიღება	501,053	119,000
დივიდენდის გაცემა	-	(54,775)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	501,053	64,225
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	22,764	(8,374)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,429	9,803
საკუროს ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლო	24,193	1,429

ნ. იხუტაძე



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707 დაარსდა 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ნიკოლოზ გოგოლის ქუჩა #11

საზოგადოების სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება.

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარა.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომ - მსს ფასს სტანდარტით) „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ნი. იმედაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში



ნ. ივანიშვილი

სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მოწის ნაკვეთი	შენიშნა-ნაკლებობა	მანქანა-დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2020 წლის 1-ლი იანვარი	1,553,923.43	10,115,775.44	155,662.56	1,194.91	5,889.52	11,832,445.86
შემოსვლა	-	-	66.67	66.67	-	133.34
გასვლა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1,553,923.43	10,115,775.44	155,729.23	1,261.58	5,889.52	11,832,579.20
2021 წლის 1-ლი იანვარი	1,553,923.43	10,115,775.44	155,729.23	1,261.58	5,889.52	11,832,579.20
შემოსვლა	-	1,867,443.42	2,302.63	-	-	1,869,746.05
გასვლა	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	1,553,923.43	11,983,218.86	158,031.86	1,261.58	5,889.52	13,702,325.25
დაფრთხილვი ცვეთა	-	(444,154.18)	(63,799.49)	(917.39)	(2,020.01)	(510,891.07)
2020 წლის 1-ლი იანვარი	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	(202,872.96)	(30,873.31)	(238.92)	(1,474.53)	(235,459.72)
გასვლა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(647,027.14)	(94,672.80)	(1,156.31)	(3,494.54)	(746,350.79)



2021 წლის 1-ლი იანვარი	-	(647,027.14)	(94,672.80)	(1,156.31)	(3,494.54)	(746,350.79)
მჯთა	-	(202,873.11)	(31,487.77)	(238.97)	(1,227.34)	(235,827.19)
გამდგა	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(849,900.25)	(126,160.57)	(1,395.28)	(4,721.88)	(982,177.98)

წმინდა საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბერი	1,553,923.43	9,468,748.30	61,056.43	105.27	2,394.98	11,086,228.41
2021 წლის 31 დეკემბერი	1,553,923.43	11,133,318.61	31,871.29	(133.70)	1,167.64	12,720,147.27

გაყენებულია

[Handwritten signature]



სს „მეტრო-ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

5. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
კომუნიკაციის ხარჯები	833.64	2,054.03
კომპიუტერის და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	4,910.48	5,751.15
სახანძრო სისტემებთან დაკავშირებული მომსახურეობა	-	1,536.31
საწვავის ხარჯი		2,104.68
სანდასუფთავების ხარჯი	18,310.80	-
კომუნალური ხარჯები	86,714.13	36,183.88
დაცვის მომსახურეობა	20,339.04	24,152.59
სხვა ხარჯი	10,557.18	2,737.49
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)	8,433.10	98,955.25
	150,098.37	173,475.38

ნ. იხუშაძე



სს „მეტრო-ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

6. სხვა სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	5,704.55	18,865.98
სხვა მოთხოვნები	137,366.86	41,384.02
გადახდილი ავანსები	59,000.00	14,990.00
	202,071.41	75,240.00

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0.12	70.12
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	24,192.70	1,359.23
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
	24,192.82	1,429.35

ნ. იმედაძე



სს „მეტრო-ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქონელი	-	-
ნედლეული და მასალები	68.37	941.36
მარკეტის საქონელი	-	63.56
სხვა საქონელი და მატერიალური მარაგები	-	10,542.85
	68.37	11,547.77

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	1,988,601.13	99,587.44
მიღებული ავანსები	-	40.00
სულ მოთხოვნები	1,988,601.13	99,627.44

ნ. იხუაძე



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

10. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოკლევადიანი სესხი	743,076.66	242,023.77
დარიცხული საპროცენტო ვალდებულებები	75,740.45	23,024.34
სულ მოთხოვნები	818,817.11	265,048.11

კომპანიას სესხი მიღებული აქვს დამფუძნებელი კომპანიისგან სს "მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია"-საგან წლიური 11%.

11. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირველადი ღირებულების მეთოდებით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040

ნი. ი. ი. ი.



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ძირითადი საადრინცვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტილი ტრანზაქციების ხარჯით, შემდგომ აღიარდება

ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ძირითადი საადრინცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურეობის

ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები

ოფისის აღჭურვილობა

ავეჯი და სხვა ინვენტარი



ნიკოლოზი

სს „მეტრო-ტერმინალი“ 445468707

ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სასარგებლო მომსახურეობის ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულების და მიღებული თანის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.

ნ. იოქაძე



The stamp is circular with a blue border. Inside the border, the text "საქართველოს საერთო საზოგადოება" (Georgian Joint Stock Company) is written in Georgian at the top, and "METRO TERMINAL" is written in English at the bottom. In the center, there is a logo consisting of a stylized 'M' and the number "445468707".

სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისაგან. რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანაგრიებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წელს პირველი ინაგრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ბ. იოსელიანი



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარაის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელსაც ისინი გაიწია.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.



სს „მეტრო ტერმინალი“ 445468707

ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მოამავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებით მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ნ. იოსელიანი



ბათუმი, საქართველო
GEORGIA JOINT STOCK COMPANY
METRO
TERMINAL
445468707
საანგარიშგებო
„საანგარიშგებო“